ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნოემბერია

დრეულად აღმოვფხვრათ

„საორგანიზაციო კომიტეტის სხდომამ სპარტაკიადისთვის მზადებაში ბევრი სხვა ნაკლიც ამხილა. თუ ეს ხარვეზები სასწრაფოდ არ აღმოიფხვრა, თუ საქართველოს პროფკავშირთა ნაკრების წევრებს წვრთნისა და ასპარეზობის სათანადო პირობებს არ შევუქმნით, პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატების იმედი არ უნდა ვიქონიოთ“.

თბილისის სპორტის სასახლეში დიდი ხელბურთის დღეებია.

(გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზის გათამაშებისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-3 გვ.).

ჩოხუ ჟენეტში ჯესკენფლენ ჭეულ იყო...

„ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელმა — ცსკა-ს კალათბურთელ ვაუთა გუნდმა ახალ წარმატებას მიაღწია — საპატიო პრიზის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა“.

სურათზე: საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩის მომენტი. თამაშობენ თბილისის „დინამო“ და მინსკის რტი.

(ამ მატჩის ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 242 (4236)

1970 წ. 12 დეკემბერი. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ჩემპიონი დღეს გამოვლინდება

„ლელოს“ მკითხველებმა იციან, რომ საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატი ქულათა თანაბარი რაოდენობით დაამთავრა სამმა გუნდმა — ზესტაფონის „მეტალურგმა“, სამტრედიის „ლოკომოტივმა“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა (თბილისი). ჩემპიონის გამოსავლენად საჭირო შეიქნა ამ კოლექტივთა დამატებითი ტურნირი.

ტურნირი გორის სტადიონზე მიმდინარეობს. პირველ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ ზესტაფონელი და სამტრედიელი ფეხბურთელები. დაძაბულმა ბრძოლამ გამარჯვება მოუტანა „მეტალურგს“ — 1:0. გოლი გაიტანა ჩუბინიძემ.

მეორე ტურში თამაშობდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი და „მეტალურგი“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ტურნირის დასკვნითი დღისთვის ასეთი მდგომარეობა შეიქმნა: „მეტალურგს“ ჰქონდა 3 ქულა, ფიზკულტურის ინსტიტუტს — 1, ხოლო „ლოკომოტივს“ — 0. სამტრედიელებს ფრედ მაინც რომ ეთამაშათ, ისინი ჩემპიონობისკენ გზას უხსნიდნენ ზესტაფონის გუნდს, მაგრამ სტუდენტებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს — 2:1. გამარჯვებულთაგან გოლები გაიტანეს ოდიშარიამ და მელიქიძემ, საპასუხო გოლის ავტორი იყო კოხრეიძე.

ამრიგად, „მეტალურგს“ და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდს დაუგროვდათ ქულათა თანაბარი რაოდენობა — 3-3. დღეს ისინი დამატებით თამაშში შეხვდებიან ერთმანეთს. თუ შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, დაინიშნება დამატებითი 30 წუთი. თუ ამ დროშიც ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია წარმატებას, ორივე კარში დაინიშნება პენალტების სერია, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულს — საქართველოს ჩემპიონს.

ᲥᲔᲚᲠᲘ ᲥᲐᲒᲔᲥᲘ

● **მინსკი**, 9 დეკემბერი. დღეს აქ დაიწყო მოკრივეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, იტალიის, კუბის, რუმინეთის, იუგოსლავიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. პირველივე შეხვედრამ — პირველი უმჩატესი წონის მოკრივეთა ფ. კუკუმოვისა (ალმა-ათა) და რ. კარბონელის (კუბა) ორთაბრძოლამ დიდი ინტერესი გამოიწვია. ქულებით გაიმარჯვა საბჭოთა სპორტსმენმა. გდრ-ის გუნდის უფროსი მწვრთნელის პ. თომასის აზრით, მინსკში ჩამოსულ გერმანელ მოკრივეთაგან, სულ ცოტა, სამი ოლიმპიურ თამაშებში მიიღებს მონაწილეობას. ნიჭიერი მოკრივეები მრავლად არიან სხვა ქვეყნების გუნდებშიც.

● **ჰანოვერი**, 10 დეკემბერი. დასავლეთ გერმანიის ამ ქალაქში მოსკოვის „დინამოს“ ფრენბურთელ ქალთა გუნდმა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მერვედფინალურ მატჩში ანგარიშით 3:0 (15:2, 15:3, 15:2) დაამარცხა ადგილობრივი „ჰანოვერი“. ეს კოლექტივები განმეორებით მატჩსაც აქ ჩაატარებენ.

● **ბუქარესტი**, 10 დეკემბერი. უკრაინის ხელბურთელ ქალთა გუნდმა თავისი რუმინული ტურნეს პირველ მატჩში აქ ანგარიშით 16:6 (7:2) სძლია ქვეყნის დედაქალაქის ასალგაზრდულ ნაკრებს. მასპინძელთა კარში 6 ბურთი გაიტანა მარშუბამ, 5 — ბობრუსმა, 3 — ვლასოვამ, თითო — შეეზენკომ და ტკაჩოვამ.

● **ჰელსინკი**, 10 დეკემბერი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა, რომელიც ფინეთში ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და ფინეთის იუნიორებთან ასპარეზობს, მასპინძელ თანატოლებთან ფრედ (5:5) დამთავრებული მატჩის შემდეგ ანგარიშით 10:4 დაამარცხა შვედები.

● **ვეკში** (შვეცია), 10 დეკემბერი. სსრ კავშირის ჰოკეისტთა მეორე ნაკრებმა აქ მარცხის სიმწარე იწვნია შვეციის მეორე ნაკრებთან შეხვედრაში — 1:6. მასპინძელთა კარში ერთადერთი შაიბა გაიტანა მარტინიუკმა.

● **მოსკოვი**, 10 დეკემბერი. გაზეთ „იზვესტიის“ პრიზზე აქ მიმდინარე ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის ჰოკეისტთა ნაკრებმა დღეს ანგარიშით 7:1 დაამარცხა პოლონეთის ეროვნული გუნდი. წინადღით ჩეხოსლოვაკიელებთან წაგების (1:3) შემდეგ საბჭოთა ჰოკეისტებმა ერთობ გაირთულეს I ადგილზე გასვლის შანსი.

ᲥᲔᲚᲠᲘ ᲥᲐᲒᲔᲥᲘ

მუზეუმის კუთვნილებად ვაქციოთ

ძალ-ღონის გაფურჩქვნის პერიოდში ტრაგიკულად დაიღუპა ახალგაზრდა მოჭიდავე ფარნაოზ ჩიკვილაძე. მისი სახით ქართველ ფალავანთა რიგებს ღირსეული ოსტატი გამოაკლდა.

ფარნაოზის გარდაცვალებამ დიდი მწუხარება გამოიწვია მის მეგობრებში, ახლობლებში და, რა თქმა უნდა, ოჯახის წევრთა შორის, რომლებიც ახმეტის რაიონის სოფ. ჩაბინაანში ცხოვრობენ. საყვარელი შვილის უბედურებით გულდამწვარმა მშობლებმა თავი მოუყარეს ყველაფერს, რაც ფარნაოზის სახელთან იყო დაკავშირებული და საცხოვრებელი სახლის მეორე სართულზე პატარა მუზეუმი მოაწყვეს.

აქ ექსპონირებულია ბევრი საინტერესო მასალა, რაც მჭიდროდ არის დაკავშირებული ჭიდაობის განვითარების ისტორიასთან. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახურ მუზეუმში შეგროვილი ყოველი ნივთი ძვირფასია გარდაცვლილი სპორტსმენის ახლობლებისთვის, კარგი იქნება თუ მათ დაინტერესებული პირები და ორგანიზაციები თავს მოუყრიან და ფიზკულტურისა და სპორტის მუზეუმის კუთვნილებად გახდიან. მითუმეტეს, რომ ფარნაოზის მშობლები დღეს აღარ არიან ცოცხლები.

ვფიქრობთ, ამ საქმეს მხარდამჭერნიც გამოუჩნდებიან.

ა. გვენცაძე,
თელავის პედინსტიტუტის მუშაკი.





რთულ ტრასაზე

სსრ კავშირის ჩემპიონატს ველოკროსში ზღვისპირა კურორტი ადლერი მასპინძლობდა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. ტრასა მეტად რთულ რელიეფს გასდევდა. ხშირი იყო თიხნარი მონაკვეთები, რომლებიც ორდღიანი კოისპირული წვიმის შემდეგ ფაქტიურად გაუვალი აღმოჩნდა. ამიტომაც შეჯიბრების მონაწილეებს მეტწილად მხარზე გადებული ველოსიპედებით სირბილი უხდებოდათ.

რბოლაც ზუსტად ასე დაიწყო. სტარტიდან დაახლოებით 400 მეტრი მონაწილეებმა სირბილით გაიარეს. აღმართის თავში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ი. კრასავცევი მეოთხე იყო. მას შორიახლო მისდევდნენ ი. რთველიაშვილი, გ. ბუბულოფი და მ. ქანთარია. მაგრამ ერთ-ერთ თავდაღმართში ბუბულოფს ველოსიპედი დაუზიანდა. იგი იძულებული გახდა დამხმარე პუნქტამდე სირბილით მისულიყო. სანამ დაზიანებულ მანქანას შეაკეთებდა, ლიდერთა ჯგუფი საგრძნობლად დაწინაურდა. შემდეგ ბუბულოფის ბედი ქანთარიამ და ვ. ოსინსკიმ გაიზიარეს. ასე რომ, საქართველოს გუნდის ვერც ერთი წევრი ვერ გადაურჩა გაუთვალისწინებელ ხიფათს.

ამ კრიტიკულ მომენტში ჩვენი ველოსიპედისტები VIII გუნდურ ადგილზე იმყოფებოდნენ, მაგრამ მაინც შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება და საბოლოო ჯამში VI-ადგილი დაისაკუთრეს. გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. რსფსრ, 2. ლიტვა, 3. უკრაინა, 4. მოსკოვი, 5. მოლდავეთი, ჩვენმა ველოსიპედისტებმა ჩამოიტოვეს ლენინგრადის, ყაზახეთის, ბელორუსიისა და სხვა ძლიერი კოლექტივები. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეული წარმატებაა, მით უმეტეს, რომ შარშან მათ მხოლოდ VIII ადგილი ჰქონდათ.

საქართველოს გუნდიდან პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა ი. კრასავცევს — XII ადგილი. მაჩვენებლები გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ამინდის გამო ტრასა რომ არ გაფუჭებულიყო. საქმე ისაა, რომ ჩვენი გუნდის წევრები ტექნიკურად კარგად იყვნენ მომზადებული, მაგრამ ფიზიკურმა ძალამ მათ აშკარად უმტყუნა. წვიმით გაფუჭებულ ტრასაზე კი გადამწყვეტი მნიშვნელობა ფიზიკურ მომზადებას ჰქონდა.

მაღლობის ღირსნი არიან ლესლიძის პანსიონატ „სპორტის“ ხელმძღვანელები, რომლებმაც ჩვენს ველოსიპედისტებს წვრთნის ყველა პირობა შეუქმნეს.

• • •

სურათებზე: ი. კრასავცევი; ქვევით — კროსის მონაწილენი დისტანციაზე.

სპორტის ოსტატ ა. გუნიას ფოტო.

გრაციების დავა

ბათუმის სპორტული სკოლის დარბაზში ორ დღეს გასტანა ქალაქის პირად-გუნდურმა პირველობამ მხატვრულ ტანვარჯიშში. უძლიერესის სახელს 50-მდე სპორტსმენი ეცილებოდა ერთმანეთს.

მეორეთანრიგოსანთა შეჯიბრებაში 17 მოსწავლე ჩაება. აქ ყველას აჯობა მ. ხალილოვამ (მე-7 სკოლა).

პირველთანრიგოსანთაგან სარბიელზე 11 ტანმოვარჯიშე გამოვიდა. გაიმარჯვა მე-6 სკოლის მოსწავლემ ლ. მაჩაბელმა.

სპორტის ოსტატობის კანდიდატებში საუკეთესო იყო ლ. გოცირიძე (მე-10 სკოლა).

მეორე დღეს ოსტატთა პროგრამით გაიმართა ასპარეზობა. I ადგილი დაიკავა მე-10 სკოლის მოსწავლემ ტ. სარატოვამ. II ადგილზეა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გ. ნიკოდიმოვა.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს მე-3 სკოლის ტანმოვარჯიშეებმა. II ადგილზე არიან მე-5, ხოლო III — მე-10 სკოლის წარმომადგენლები.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

საორგანიზაციო კომიტეტის მორიგ სხდომაზე

დროულად აღმოვფხვრათ

11-16 იანვარს ბაკურიანში გაიმართება საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის III სპარტაკიადა, რომელშიც ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების გუნდები იასპარეზებენ. რესპუბლიკური სპარტაკიადის შემდეგ დაკომპლექტდება ნაკრები კოლექტივი. იგი პროფკავშირთა ზამთრის მორიგ საკავშირო სპარტაკიადაში ჩაებმება.

„ბურევესტნიკის", „განთიადის", „ლოკომოტივისა" და სხვა საზოგადოებების სპორტსმენები ამ ღონისძიებებისთვის კარგა ხანია ემზადებიან. სწორედ სპარტაკიადისთვის სამზადისს მიეძღვნა რესპუბლიკური სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომაც, რომელიც საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ო. ცანავამ გახსნა.

მოახსენეს „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის გ. ცქიტიშვილისა და „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულენტის ინფორმაციები ამ საზოგადოებების გუნდების მზადების თაობაზე, აგრეთვე, სათხილამურო სპორტში საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელის ფ. ნავერიანისა და რესპუბლიკის მოთხილამურე მორბენალთა მწვრთნელის ვ. ნოსკოვის ინფორმაციები სპარტაკიადისთვის ბაზებისა და ნაკრების წევრთა მზადების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს განათლების, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. იოსელიანმა, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ზამთრის სახეობების კათედრის გამგემ, სპარტაკიადის მთავარმა მსაჯმა ა. ბალაევიჩმა, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ინსტრუქტორმა ლ. ანდღულაძემ.

სხდომაზე ითქვა, რომ „ბურევესტნიკის" გუნდები კარგა ხანია დაკომპლექტებულია და სპარტაკიადისთვის ინტენსიურად ემზადებიან. გუნდის ნახევარი სვერდლოვსკში, ნახევარი კი ტერსკოლში სავარჯიშოდ. საზოგადოების ზოგიერთი უძლიერესი სპორტსმენი შეიძლება რესპუბლიკურ სპარტაკიადაში ვერ გამოვიდეს, ვინაიდან იმ პერიოდში მათ საკავშირო ტურნირები აქვთ. ამან შესაძლოა „ბურევესტნიკის" საერთო მაჩვენებლებზე იმოქმედოს. ამ საზოგადოების ნაკრების სპორტსმენები რესპუბლიკურ სპარტაკიადაში იბრძოლებენ, რათა რაც შეიძლება მეტი საპრიზო ადგილი დაისაკუთრონ და საქართველოს პროფკავშირთა ნაკრებ გუნდს მეტი შევსებაც მისცენ.

ცქიტიშვილმა აღნიშნა, რომ „ბურევესტნიკის" სამთოსათხილამურო ბაზა წლეულს კაპიტალურად არ შეკეთებულა და სპორტსმენთა ყველა მოთხოვნის დაკმაყოფილება გაუჭირდება.

— „კოლმეურნის" მოთხილამურეებმა სპარტაკიადისთვის რეგულარული მზადება შუა ოქტომბრიდან დაიწყეს, — ამბობს ვ. ულენტი. — ჩვენი სპორტსმენები პროფკავშირთა სპარტაკიადამდე ძალებს გაზეთ „ლელოს" პრიზის გათამაშებაში და სოფლის მოთხილამურეთა რესპუბლიკურ ტურნირში შეამოწმებენ. ინტენსიურ სამზადისს უთოვლობა აფერხებს.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სპარტაკიადისთვის მზადებაში „კოლმეურნეს" აქტიურად ეხმარება სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი. გუნდები სტარტებისთვის ყოველმხრივ აღჭურვილი იქნებიან. ულენტმა აღნიშნა, რომ საჭიროა სპარტაკიადის დღეებში მოგვარდეს სპორტსმენთა სამსახურიდან და სასწავლებლებიდან დროულად განთავისუფლების საკითხი.

სპარტაკიადისთვის ბაზებისა და საცხოვრებლების მდგომარეობის შესახებ შეკრებილთ მოუთხრო ნავერიანმა. მან თქვა, რომ სპორტული ტრასები ბრძოლებისთვის მზადაა: შეკეთდა 40-მეტრიანი ტრამპლინი, საბაგირო გზა, მაგრამ იმის გამო, რომ წლეულს ბაკურიანში უამრავი საკავშირო ტურნირი გაიმართება და საცხოვრებელი ბაზები მეტისმეტად გადაიტვირთება, საქართველოს პროფსაბჭომ დროულად უნდა იზრუნოს სპარტაკიადის მონაწილეთა ბინებით უზრუნველყოფის საკითხის მოგვარებისთვის.

ნოსკოვმა აღნიშნა, რომ რბენა ჩვენი მოთხილამურეების სუსტი რგოლია, ვინაიდან ამ სახეობაში ძლიერი სპორტსმენები არა გვყავს. ადრე გვყავდა რამდენიმე პირველთანრიგოსანი, რომელთაც ოსტატებთან ღირსეული მეტოქეობა შეეძლოთ, მაგრამ ახლა რესპუბლიკაში მხოლოდ ტრამპლინიდან მხტომელებისა და სამთომოთხილამურეების აღზრდისთვის ზრუნავენ.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომაზე ილაპარაკეს იმაზეც, რომ ნაკრებს საკმაო რაოდენობით არა აქვს ხარისხიანი თხილამურები, საცი, ფეხსაცმელი. თხილამურების სიმცირე განსაკუთრებით მორბენლებსა და მხტომელებს უშლით ხელს. მართალია, საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილებამ დროულად იზრუნა სპორტული ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ინვენტარის შეძენისთვის, მაგრამ რესპუბლიკის სავაჭრო ორგანიზაციები მათ ამ საქმეში ნაკლებად ეხმარებიან. ამიტომაა, რომ განყოფილებას კავშირის დამყარება პირდაპირ მოსკოვის ორგანიზაციებთან უხდება.

საორგანიზაციო კომიტეტის სხდომამ სპარტაკიადისთვის მზადებაში ბევრი სხვა ნაკლიც ამხილა. თუ ეს ხარვეზები სასწრაფოდ არ აღმოიფხვრა, თუ საქართველოს პროფკავშირთა ნაკრების წევრებს წვრთნისა და ასპარეზობის სათანადო პირობებს არ შევუქმნით, პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაში წარმატების იმედი არ უნდა ვიქონიოთ.

სხდომამ დასახა საჭირო ღონისძიება.

სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

გელორუსიული სიურპრიზი

თბილისი. სპორტის სასახლე. 9 დეკემბერი.

„დინამო" (თბილისი) — რტი (მინსკი) 74:64 (37:33).

მსაჯები: მ. ბელიაევი, ო. რაძინსკი (ორივე — დონის როსტოვი).

დუბლიორები—86:71 (39:35).

მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის კალათბურთელთა თამაში სიურპრიზი იყო მათთვის, ვისაც ეს გუნდი ადრე არ უნახავს. სტუდენტთა სატურნირო მდგომარეობა, პირდაპირ უნდა ვთქვათ, არასახარბიელოა, მაგრამ ბელორუსიის კალათბურთელთა ბოლო ორმა მატჩმა სპეციალისტებზე ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა. რტი-მ შინ ტარტუს „კალევი" დაამარცხა, მოსკოვში კი მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაუთმო. გამარჯვება ცსკა-ს (7 ქულით). ყოველივე ეს იმის სიგნალი იყო, რომ მინსკელებთან ხუმრობა არ შეიძლებოდა.

„დინამო" მატჩისთვის სერიოზულად მოემზადა, მაგრამ იგი მაინც არ ელოდა სტუმრების ასეთ მძლავრ სტარტს, უკვე პირველივე წუთებზე ცხადი გაიდა, რომ გაძლიერებული კონტროლის გარეშე კრისევიჩისა და კრასნიცკის უჭნებელყოფა გაჭირდებოდა. ეს წყვილი ტანმაღალ ეტტეევთან ერთად დიდი ხნით დაეპატრონა ორივე ფარს.

სანამ თბილისელებმა ბურთის ნელი გათამაშება სწრაფი შეტევებით არ შეცვალეს, ინიციატივა სტუმრების მხარეს იყო. მასპინძელთა ტემპიანმა თამაშმა მინსკელები ჩვეული კალაპოტიდან ამოაგდო. სხვებზე ადრე ეს საკანდელიძემ იგრძნო, იგრძნო და მიზანში ამოიღო მეტოქის კალათი. რტი-მ სასწრაფოდ გადააჯგუფა ძალები, მაგრამ სასურველი ნაყოფი ვერც ამან გამოიღო. მწვრთნელი იძულებული გახდა დროებით სათადარიგოთა მერხზე დაესვა ეტტეევი, რომელსაც 4 პერსონალური შეცდომა შესამჩნევად ბოჭავდა.

შესვენებამდე სტუმრებს კიდევ ჰქონდათ ერთგვარი ილუზიები, მაგრამ მეორე ტაიმში სურათი მკვეთრად შეიცვალა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეტტეევი მოედანს გამოეთხოვა. „დინამო" მთლიანად დაეპატრონა ინიციატივას და ძნელი ბრძოლა გამარჯვებამდე მიიყვანა.



სურათზე: წამიც და... საკანდელიძე ბურთს მინსკელთა კალათში მოათავსებს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

თბილისელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო საკანდელიძე (24 ქულა), სტუმრებში კი კრასნიცკი (18) და კრისევიჩი (16).

ნ. ბუგბუშვილი.

დაპარცხებული იგებენ ტაიმს

9 დეკემბერს გაიმართა მორიგი ტურის კიდევ 2 მატჩი.

ლენინგრადი. გათამაშების ლიდერმა — ადგილობრივმა „სპარტაკმა" კიევის „სტროიტელს" უმასპინძლა. გაჩაღდა საინტერესო და ლამაზი ბრძოლა. ტაიმი უკრაინელებმა 9 ქულით მოიგეს (29:20), მაგრამ საბოლოო გამარჯვებისთვის ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. შესვენების შემდეგ ბრძოლა მთლიანად ხელთ იგდეს ინიციატივა და „სტროიტელს" მესამე დამარცხება აგებინეს — 60:56.

ტალინი. კვლავ წარუმატებლად თამაშობს „კალევი": ესტონელები ამჯერად მოსკოვის დინამოელებმა დაამარცხეს — 72:70. აღსანიშნავია, რომ ამ შეხვედრაშიც პირველი ტაიმი დამარცხებულებმა მოიგეს — 41:36.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 დეკემბრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	6	5	1	407—354	5
ცსკა	5	4	1	365—336	4
„დინამო" (თბილისი)	5	4	1	422—397	4
„უალგირისი" (კაუნასი)	4	3	1	321—288	3
„დინამო" (მოსკოვი)	5	3	2	402—383	3
„სტროიტელი" (კიევი)	6	3	3	396—399	3
ვეფ (რიგა)	5	2	3	381—390	2
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	5	2	3	384—402	2
ასკ (რიგა)	3	1	2	199—213	1
„კალევი" (ტარტუ)	5	1	4	342—357	1
რტი (მინსკი)	5	1	4	311—352	1
ასკ (კიევი)	6	1	5	404—453	1

მოედანზე ქალები არიან



დნეპროპეტროვსკსა და კაუნასში გრძელდება უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატი.

გთავაზობთ შეხვედრათა შედეგებს: „კიბირკშტისი" (ვილნიუსი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 51:47, „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „დინამო" (კიევი) 73:52, „სპარტაკი" (ლენინგრადი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 79:63, „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 57:51.

წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — გ. ბაღაშვილს, ბ. შუჯირიშვილს (ორივე —თბილისის „სპარტაკი"), ს. გოგნაძეს (თბილისის ასკ), თ. ბენდიანიშვილს (თბილისის „დინამო"), ლ. კესოევს, ლ. ცხოვრებოვს, ვ. გაზაევს, ყ. ბაბაევს (ყველა — ცხინვალის „კოლმეურნე"); **ველოსპორტში**—ზ. ხოშტარიას (სოხუმის „დინამო"), ვ. ლაშხიას (ზუგდიდის „სპარტაკი"), რ. ცხოვრებაშვილს (რუსთავის „განთიადი"), ა. ხუბაევს (თბილისის „ლოკომოტივი"), ლ. კუნდიროვას (თბილისის „დინამო"), ო. ჯაბუას (ზუგდიდის „კოლმეურნე"); **ტანვარჯიშში** — თ. ცოცხალაშვილს, ლ. ბანძელაძეს (ორივე — თბილისის „დინამო"), ე. ექსუზიანს, ნ. ჩერკასოვას, მ. კრასილნიკოვას, გ. ებანიძეს (ყველა — თბილისის „ბურევესტნიკი"), ც. ჩოხელს, ლ. მჭედლიძეს (ორივე — თბილისის „განთიადი"), ი. ონაშვილს, ა. ხუსტოვას (ორივე — თბილისის „შრომითი რეზერვები"), ლ. ხასიევას (ქუთაისის „ლოკომოტივი"); **აკრობატიკაში** — ნ. ძუკაევს, დ. იაშაღაშვილს (ორივე — თბილისის „შრომითი რეზერვები"), ს. დელიბალტოვს (თბილისის „ბურევესტნიკი"), ა. ტუსიშვილს, ც. ჯაფასიშვილს (ორივე — თბილისის „სპარტაკი"); **მხატვრულ ტანვარჯიშში** — ე. ალექსიძეს, ს. მერეჩკოს (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"), ტ. სარატოვას (ბათუმის „განთიადი"); **სასტენდო სროლაში** — თ. ამაშუკელს, თ. იმნაიშვილს (ორივე — თბილისის „ლოკომოტივი"); **ტრამპლინიდან ხტომაში** — ბ. მჭედლიანს (მესტიის „კოლმეურნე"); **ტყვიის სროლაში** — რ. ჩიკვილაძეს (თბილისის ასკ); **ძალოსნობაში** — რ. ტარკილს (სოხუმის „განთიადი"); **სამბოში** — კ. ხულელიძეს, შ. ჯანგირაშვილს (ორივე — თბილისის „კოლმეურნე"), ჯ. ბოგიძეს (გარდაბნის „კოლმეურნე"); **ჭადრაკში** — ს. ჩეჩელიანს (თბილისის ასკ), თ. ხუგაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **შაშში**— ი. სპესივცევს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **საბოსათხილამურო სპორტში** — გ. ჯიჭოევს (ბაკურიანის „დინამო"), შ. კოზანაშვილს, ნ. ფალიანს (ორივე — თბილისის „ბურევესტნიკი"); **ფარიკაობაში** — ვ. ქერაშვილს, თ. ესართიას (ორივე — თბილისის „სპარტაკი"), თ. ყანდარელს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **საცხენოსნო სპორტში** — გ. მარეიკოს (ცხაკაიას „კოლმეურნე"), ო. ჯაფარიძეს (ზუგდიდის „კოლმეურნე"); **თანამედროვე ხუთჭიდში** — ვ. კალინინს (თბილისის „დინამო"); **აეროსნობაში** — ზ. ხუხუას (სოხუმის „განთიადი"); **რეგბიში** — შ. კვინიხიძეს (თბილისის „დინამო"); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ჰ. ქათამაძეს (სოხუმის „დინამო"), შ. გიგოლაშვილს (თბილისის „სპარტაკი"), ს. ჭაჭიაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი"), ვ. ალავიძეს (ბახარაძის „კოლმეურნე"); **ცურვაში** — ვ. ონუფრიენკოს, ი. ლისეცკის (ორივე — თბილისის „შრომითი რეზერვები"), ვ. კრასკოს (ბათუმის „დინამო"); **კრივში** — მ. მიქოიანს, ზ. გუნიას (ორივე — თბილისის „დინამო").

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე

ოპოლე — თბილისი



გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ხელბურთელ ვაჟთა გუნდების V ტრადიციული საერთაშორისო ტურნირის პირველი დღის შედეგებზე საუბარს ცოტა შორიდან დავიწყებთ. საქმე ის არის, რომ ამ ტურნირში მონაწილე საქართველოს გუნდი ეს-ესაა ჩამოვიდა პოლონეთიდან, სადაც ქალაქ ოპოლეში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. თბილისის „ბურევესტნიკის“ ხელბურთელებით დაკომპლექტებული საქართველოს ნაკრების მეტოქეები იყვნენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ნორვეგიის ძლიერი ეროვნული გუნდები. ოთხთა ტურნირში ქართველმა ხელბურთელებმა III ადგილი დაიკავეს და ბრონზის თასი მიიღეს.

ერთი შეხედვით, III ადგილი მაინცდამაინც სახარბიელო შედეგი არ არის, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტურნირში მონაწილეობდნენ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონები — ჩეხოსლოვაკიელები, პოლონელები, რომლებმაც ამ ბოლო დროს ბევრი უსიამოვნება მიაყენეს სსრ კავშირის ნაკრებს, ნორვეგიელები, რომლებმაც რამდენიმე მნიშვნელოვანი წარმატება იზეიმეს სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირში. ის ერთადერთი გამარჯვება, რომელიც ქართველებმა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან (ეს იყო ტურნირის ბოლო მატჩი) მოიპოვეს ანგარიშით 22:21 (15:12), მიუთითებს, რომ ჩვენი გუნდი კარგა ხნის „შესვენების“ შემდეგ მომაგრდა და, ეტყობა, კვლავინდებურად ადარ დაუდებს ტოლს ძლიერ მეტოქეებს.

შეიძლება ეს მეტისმეტად გაბედული წინასწარმეტყველება იყოს, მაგრამ ოპტიმიზმის საფუძველი გამოჩნდა, და გამოჩნდა სწორედ ოპოლეს ტურნირში, სადაც ამ სტრიქონების ავტორიც იყო. პირველი შეხვედრა პოლონელებთან ჩვენმა გუნდმა წააგო — 21:23. როგორც ხედავთ, მატჩის ბედი ორმა გოლმა გადაწყვიტა, მაგრამ მარტო ამან როდი გადასწყვიტა, უშედეგათო ბრძოლის სასწორი. მასპინძელთა გამარჯვებაში მნიშვნელოვანი „დამსახურება“ სწორედ მსაჯებს მიუძღვით: პირველი ტაიმის ბოლო წუთებამდე წინ ჩვენ ვიყავით (6:4, 7:5), მაგრამ სულ რაღაც ხუთიოდე წუთში მსაჯების მეცადინეობამ ეს უპირატესობა გააქარწყლა. შესვენებისთვის ანგარიში იყო 11:9 მასპინძლების სასარგებლოდ. მათ არც მეორე ტაიმში მოუკლებიათ მსაჯების მზრუნველი სასტვენის ხმა. და მაინც, ჩვენი მოთამაშეებიც და მათი ხელმძღვანელებიც კმაყოფილი დარჩნენ: გუნდის არც ერთ წევრს ფარ-ხმალი არ დაუყრია მეტოქეებთან და მსაჯებთან გაჩაღებულ აშკარად უთანასწორო ბრძოლაში.

მეორე მატჩი ნორვეგიელებთან წავაგეთ — 12:16 (6:8). ამ შეხვედრაში ბედმა გვიმტყუნა: მე-8 წუთზე მძიმედ დაშავდა ფხაკაძე, რომელმაც მოედანი დატოვა და ამის შემდეგ ტურნირში მონაწილეობა არ მიუღია. გუნდის ერთ-ერთი ლიდერის დაშავებამ, ბუნებრივია, მატჩის შედეგზეც იმოქმედა.



ტურნირის დანარჩენი შეხვედრებიასე დამთავრდა: ნორვეგია — ჩეხოსლოვაკია 20:16 (10:10), პოლონეთი — ჩეხოსლოვაკია 19:19 (10:10), პოლონეთი—ნორვეგია 19:18 (11:11). საბოლოო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. პოლონეთი — 5 ქულა (ბურთების ბალანსი — 61:58), 2. ნორვეგია — 4 (54:47), 3. საქართველო — 2 (55:60), 4. ჩეხოსლოვაკია — 1 (56:61).

ოპოლეში თავი ისახელა ჩვენი გუნდის ლიდერმა ჯ. ცერცვაძემ, რომელმაც ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის წოდება მოიპოვა (19 გოლი). იგი ორიგინალური ბროლის თასით დაჯილდოვეს. დანარჩენი გოლების ავტორები ჩვენი გუნდიდან არიან: გ. ბერიაშვილი — 12, ბუნაძე — 6, ფხაკაძე — 4, დვალიშვილი — 4, ექსეულიძე — 3, ფხალაძე — 2, აბესაძე — 2, ნარიმანიძე — 2, ხუციშვილი— 1. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ გუნდის მეკარე ხუციშვილი, რომელმაც დიდებულად ითამაშა და საერთო აღიარება ჰპოვა. მან ლამაზი გოლიც ვაიტანა ჩეხოსლოვაკიელებთან შეხვედრაში. ამავე მატჩში თავი გამოიჩინეს გ. ბერიაშვილმა და ბუნაძემ. პირველმა მეტოქეთა კარში 8 გოლი გაიტანა, მეორემ კი საკვეყნოდ ცნობილი თავდამსხმელი ბრუნა ფაქტიურად გამორთო თამაშიდან — ამ უკანასკნელმა ერთი გოლის გატანაც კი ვერ შეძლო. ძველებურად სტაბილურად და თავგამოდებით იბრძოდა გუნდის კაპიტანი ექსეულიძე. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ახალგაზრდებმაც — აბესაძემ, ნარიმანიძემ, ვ. ბერიაშვილმა, ანპილოგოვმა...

მიუხედავად ამისა, ჩვენი გუნდის თამაშში ჯერ კიდევ ბევრია ხარვეზი, რომელთა აღმოფხვრა თვით მოთამაშეთა მეცადინეობაზეა დამოკიდებული. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის ხელოვნების სრულყოფას და განხორციელებული შეტევის შემდეგ დაცვის ხაზზე დროულად დაბრუნებას.

ახლა კი ვისაუბროთ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზზე ტრადიციული V საერთაშორისო შეჯიბრების პირველი ორი ტურის შედეგების შესახებ. თავდაპირველად ტექნიკურ შედეგებს გადავხედოთ.

I ჯგუფი

თბილისი. სპორტის სასახლე. 9 დეკემბერი.

იუგოსლავია — ისლანდია 24.15 (9:2).

იუგოსლავია: ჟივკოვიჩი, პავკოვიჩი, პრიბანიჩი (გაიტანა 2 გოლი), კარალიჩი (3), ლაზარევიჩი (1), მილკოვიჩი (3), ლავრნიჩი (5), ხორვატი (4), კრსტიჩი, მილიაკი (5), სმილიანიჩი (1).

ისლანდია: ეინარსონი, კარლსონი, სკულასონი (1), სიმონარსონი (2), ჰალსტენსონი I (1), იონსონი (1), სიგსტენსონი (1), მარკუსონი, ჯონსონი (1), ჰალსტენსონი II (1), სვავარსონი, ი. მაგნუსონი (7), კრისტიანსონი.

მსაჯები — ი. სმოლენგო და ნ. სუსლოვი (ორივე — სსრ კავშირი).

* * *

სსრ კავშირი — გფრ 19:15 (6:5).

სსრ კავშირი: სემიონოვი, ჩურსინი (1), მაქსიმოვი (10), რიაზანოვი, ილინი, შაიუკი, კლიმოვი (1), ლუცენკო, მახორინი (3), ზდორენკო (2), ოგანეზოვი (2).

გფრ: კატერი, ბრანდი, ბრაუნი, ბუხერი, გელჰოფი (2), გინკელმანი, ლანგე (3), მიოლერი, მუნგი (2), ნოიჰაუსი, შმიდტი (6), როგე (2).

მსაჯები — უ. რეპო და ხ. ტუომინენი (ორივე — ფინეთი).

* * *

10 დეკემბერი.

გფრ — ისლანდია 20:13 (6:8).

გფრ: ბოდე, გელჰოფი (3), გინკელმანი (1), ჰარიეზი (2), ლანგე, მიოლერი (2), მუნგი (5), ნოიჰაუსი (1), შმიდტი (5), როგე (1).

ისლანდია: ეინარსონი, სკულასონი, სიმონარსონი (1), ე. მაგნუსონი, იონსონი, სიგსტენსონი (1), ჯონსონი, ჰალსტენსონი I (4), სვავარსონი (1), ი. მაგნუსონი (6), კრისტიანსონი, ფინბოგარსონი.

მსაჯები — ჯ. აბშილავა და ვ. ელგუჯაური (ორივე — სსრ კავშირი).

* * *

სსრ კავშირი — იუგოსლავია 12:19 (3:12).

სსრ კავშირი: ვილსონსი, სემიონოვი, ჩურსინი, მაქსიმოვი (2), რიაზანოვი, ილინი (1), შაიუკი, კლიმოვი (4), ლუცენკო, მახორინი (4), ზდორენკო (1), ოგანეზოვი.

იუგოსლავია: ჟივკოვიჩი, პავკოვიჩი, დიზდარი, პრიბანიჩი (3), კარალიჩი (1), ლაზარევიჩი (2), მილკოვიჩი (4), ლავრნიჩი (4), ხორვატი (4), კრსტიჩი (1), მილიაკი, სმილანიჩი.

მსაჯები — რეპო და ტუომინენი.

II ჯგუფი

9 დეკემბერი.

ჩეხოსლოვაკია — უკრაინა 18.18 (11:13).

ჩეხოსლოვაკია: ლუკაჩი, გოგოლი, დივოკა I, ფურკა (1), ნეუმანი (1), დვორჩაკი, დივოკა II (1), ტომეკი (2), პროფანტი (1), კატუშეკი (5), მიკეში (7).

უკრაინა: ტომინი, ცაპენკო, ლაგუტინი (1), გორიაჩიხი, ზელენოვი (1), არტამონოვი (1), ბურცევი (5), შულგა (3), ტიშჩენკო (4), შკარლატი (1), კოსიკი, გორელიკი (2), ივანოვი.

მსაჯები — გ. ძაგანია და ჯ. აბშილავა (ორივე — სსრ კავშირი).

* * *

საქართველო — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 24:18 (9:9).

საქართველო: ხუციშვილი, კონახიძე, ექსეულიძე (2), ფხაკაძე (3), ბუნაძე (3), გ. ბერიაშვილი (2), აბესაძე (4), ცერცვაძე (5), სხიერელი (2), დვალიშვილი (1), ვ. ბერიაშვილი, ფხალაძე, ნარიმანიძე (1), ანპილოგოვი (1).

სსრ კავშირი (ახალგაზრდული): სიჩოვი, ვილიუმსონი, ბეზუგლოვი (3), ანტონოვი, ჩიკალაევი (3), გასი (1), სტოლიაროვი (1), ჩერნიაევი (3), რატნიკოვი (3), კუიავსკი (2), მ. გულბისი (2), პილპიარკი.

მსაჯები — ზ. ლიპოვი (სსრ კავშირი) და ო. შმიდტი (გფრ).

* * *

10 დეკემბერი.

სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — ჩეხოსლოვაკია 27:16 (13:10).

სსრ კავშირი (ახალგაზრდული): სიჩოვი, ვილიუმსონი, ბეზუგლოვი (5), ანტონოვი (2), ჩიკალაევი, გასი (5), სტოლიაროვი, ჩერნიაევი (1), რატნიკოვი (1), კუიავსკი (4), მ. გულბისი (5), კოლოტოვი (4).

ჩეხოსლოვაკია: ლუკაჩი, ტრიკერი, გოგოლი (4), დივოკა I, ფურკა, ნეუმანი (1), დვორჩაკი, ტომეკი (1), დივოკა II (1), პროფანტი, კატუშეკი (5), მიკეში (4).

მსაჯები — ო. შვარცი და ზ. ლიპოვი.

* * *

საქართველო — უკრაინა 15:17 (6:7).

საქართველო: ხუციშვილი, ექსეულიძე, ფხაკაძე, ბუნაძე, გ. ბერიაშვილი (4), აბესაძე (3), ცერცვაძე (5), სხიერელი (1), დვალიშვილი, ნარიმანიძე (2), ვ. ბერიაშვილი (1), ფხალაძე.

უკრაინა: ტომინი, ცაპენკო, ლაგუტინი (1), გორიაჩიხი (1), ზელენოვი (4), არტამონოვი (2), ბურცევი (5), შულგა (2), ტიშჩენკო, შკარლატი (2), კოსიკი, გორელიკი, ივანოვი.

მსაჯები — ნ. სუსლოვი და ი. სმოლენკო.

საქართველოს ხელბურთელებმა ორივე მატჩში საგრძნობი ფორა მისცეს მეტოქეებს: მასპინძლები პირველ დღეს სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებთან აგებდნენ ანგარიშით 0:7, ხოლო მეორე დღეს უკრაინელებთან — 0:6. პირველ მატჩში პირველი საპასუხო ბურთი მე-14 წუთზე გაიტანა გაზდელიანმა, მეორე შეხვედრაში კი (მე-16 წუთზე) პირველი ბურთი 7-მეტრიანი საჯარიმოდან გაქვითა ცერცვაძემ. ასეთი რამ თანაბარი ძალის გუნდებს შორის მკონი არც მოსმდარა და ამიტომ მასპინძლების აშკარა მარცხი არავის ეეჭვებოდა. საქართველოს ნაკრებმა ახალგაზრდულ გუნდთან ტაიმის ბოლოს აღადგინა წონასწორობა და შესვენების შემდეგ გამარჯვების მოპოვებაც შეძლო. ეს მოხდა ძალთა უკიდურესი დაძაბვისა და თავგამოდებული თამაშის წყალობით. გუნდის წევრთა ერთი ნაწილი დაშავდა. მეორე დღეს უკრაინელებთან შეხვედრაში სწორედ ამან გამოიწვია ჩვენების უხეირო თამაში. ამას ისიც დაემატა, რომ მეკარე ხუციშვილი და გ. ბერიაშვილი მოედანზე გუნდის ინტერესებისთვის სიცხიანი გამოვიდნენ. ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, ნ-ოლიანი ფორის მთლიანად ამოგება გუნდმა ვერ შეძლო და საბოლოოდ დამარცხდა. ყოველივე ამან, რასაკვირველია, მოახდინა გავლენა, მაგრამ როცა გუნდი 7-მეტრიან საჯარიმოთა დიდ ნაწილს ვერ იყენებს, აქ უკვე ადარ ღირს თავის მართლება.

ყოველგვარ მოლოდინს გადაეჭარბა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდების შეხვედრის შედეგმა. მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა ყოველმხრივ დაჯაბნა სსრ კავშირის ნაკრები. ამით ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ საბჭოთა ეროვნულ გუნდს ბევრი სატკივარი აქვს. თვით იმ ფაქტმა, რომ მან მსოფლიო ჩემპიონატში IX ადგილი დაიკავა და ამის შემდეგ გადამჭრელი ღონისძიების გასატარებლად არავის უზრუნია, დათვური სამსახური გაუწია ხელბურთელებს. ოლიმპიური თამაშები კი კარს მოგვადგა... საბჭოთა ნაკრებს სულ მალე ამ დიდ ასპარეზობაში მონაწილეობის უფლებისთვის მოუწევს ბრძოლა.

ჯ. ენუქიძე.

სურათებზე: სსრ კავშირ—გფრ-ისა და საქართველო—უკრაინის ნაკრები გუნდების შეხვედრების მომენტები. ზევით—შეტევაზეა გერმანელთა თავდამსხმელი ჰ.-გ. შმიდტი; ქვევით — უკრაინელთა კარს უტევს ვ. ბერიაშვილი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ზეიმი წყალზე

ზამთრის რესპუბლიკურ საცურაო აუზში ჩატარდა ზეიმი წყალზე. დებულებით, ზეიმში მონაწილეობდნენ ის მოცურავეები, წყალში მხტომელები და წყალბურთელები, რომლებიც ამ აუზში ვარჯიშობენ. ეს კარგი ღონისძიება აუზის დირექციამ სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს მიუძღვნა.

ბრძოლაში პირველნი ნორჩი დინამოელის, „ლოკომოტივისა“ და თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტული სკოლის წყალბურთელთა გუნდები ჩაებნენ. ისევე როგორც შარშან, ახლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა „ლოკომოტივმა“ (მწვრთნელი ლ. კრილოვი), რომელმაც კვლავ მოიპოვა სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის პრიზი.

შემდეგ ციხფერი ბილიკები მოცურავეებს დაეთმოთ. ისინი სამ ასაკობრივ ჯგუფად იყვნენ დაყოფილი და მხოლოდ 50 მეტრზე ასპარეზობდნენ. გამარჯვებულთაგან უნდა აღვნიშნოთ და-ძმა ი. და მ. კირიანოვები, ვ. გონჩაროვი და თ. ცაგარელი, რომლებმაც კარგ შედეგებს მიაღწიეს.

ბოლოს სარბიელზე წყალში მხტომელები გამოვიდნენ. მათ შეასრულეს საჩვენებელი ვარჯიშები როგორც ცალ-ცალკე, ისე ჯგუფურად. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ზეიმის ყველაზე პატარა მონაწილემ, 7 წლის გ. მაკაროვმა, რომელიც გაბედულად ხტებოდა შვიდმეტრიანი კოშკიდან.

სურათზე: გ. მაკაროვი ხტომის დროს.

ა. გურასაშვილის ტექსტი და ფოტო.

საზოგადოების ჩემპიონები

თბილისში, სპორტკლუბ „სინათლის“ დარბაზში ჩატარდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა სამბოში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 85 სპორტსმენი. აქ იყვნენ სამბისტები თბილისიდან, ქუთაისიდან, საგარეჯოდან, დუშეთსა და სხვა რაიონებიდან.

ასპარეზობამ ბევრი ნიშიერი ახალგაზრდა გამოავლინა. მათ შორის აღსანიშნავია ირინი არიან: დ. ბიგვავა (დუშეთი), მ. კენჭაძე, ო. ყურაშვილი, მ. ჯანგირაშვილი (ყველა — თბილისი). ქებას იმსახურებენ მწვრთნელები თ. ერემეიშვილი (ქუთაისი), მ. არჩვაძე (საგარეჯო), თ. არაბული (თბილისი), ჯ. ნათელაშვილი (დუშეთი), რომლებმაც შეჯიბრებაში კარგად მომზადებული სამბისტები გამოიყვანეს.

საზოგადოების ჩემპიონები გახდნენ: დ. ბიგვავა (დუშეთი), რ. კარიაული (თბილისი), თ. ჭიკარტაძე (საგარეჯო), ლ. ტეფნაძე, ი. მიდელაური, რ. ხარშილაძე, ნ. ელიბაშვილი, ტ. ბიგანიშვილი (ყველა — თბილისი), ვ. მერკილაძე (ქუთაისი).

ვ. ქოგელაშვილი.

ჯუდინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა მესამე ტურის შეხვედრები. გთავაზობთ პირველი ორი მატჩის შედეგებს: სსრ კავშირი (ახალგაზრდული) — უკრაინა 27:22 (12:8), ისლანდია — სსრ კავშირი 17:32 (8:17). მომდევნო ორი შეხვედრა გვიან ღამით ჩატარდა.

ჩვენს მამა-რესპუბლიკებში

„საჰადრაკო“ რადიოგრამები „ობიდან“

მურმანსკი, 10 დეკემბერი. ადგილობრივი გაზეთის „კომსომოლეცი ზაპოლიარიას“ საჰადრაკო კლუბის ნაკრებმა ორ დაფაზე დაუსწრებელი მატჩი დაიწყო დიზელ-ელექტრომავალ „ობის“ ეკიპაჟთან, რომელიც მე-16 ანტარქტიკულ რეისს ატარებს.

კაპიტნის პირველმა თანაშემწემ ვ. ტკაჩოვმა მურმანსკელებს მატჩის დაწყება მიულოცა და რადიოთი აცნობა: „იწყურება რეისის პირველი თვე. „ობმა“ ეკვატორი გადალახა. ყველა მექანიზმი შეუფერხებლად მუშაობს. მეზღვაურები ჩინებულად ეწევიან სამსახურს. ექსპედიციის თანამშრომლები კომპლექსურ დაკვირვებებს აწარმოებენ. ჩვენს ხომალდზე პირველად მივიღეთ და დავამუშავეთ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრიდან გადმოცემული ინფორმაციები. ფოტოსადებეშო დანადგარის შემწეობით დავიწყეთ საკდესის მასალების მიღება“.

„ობზე“ ბევრი კარგი მოჰადრაკეა, ამიტომ მატჩი განუზომელ ინტერესს იწვევს. ანტარქტიკული ფლაგმანიდან მიღებულ „საჰადრაკო“ რადიოგრამებს მურმანსკის ახალგაზრდული გაზეთი ბეჭდავს.

ფიშერმა პირველობა გაინაღდა

პალმა დე მალიორკის საზონათშორისო ტურნირი. მდგომარეობა 22 ტურის შემდეგ: რ. ფიშერი (აშშ) — 17,5 ქულა, რ. ჰიუბნერი (გფრ) — 14,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ე. გულერი (სსრ კავშირი) — 14,5, ბ. ლარსენი (დანია) — 14, შ. ტაიმანოვი (სსრ კავშირი), ვ. ულმანი (გდრ) — 13-13, ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), ლ. პოლუგაევსკი, ვ. სმისლოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 12,5-12,5, ლ. პორტიში (უნგრეთი) — 12 ქულა და 2 გადადებული პარტია, ო. პანო (არგენტინა), ე. მეკინგი (ბრაზილია) — 11,5-11,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

გადადებული პარტიების დამთავრებისას, რომელიც 9 დეკემბერს გაიმართა, ფიშერმა ზუსტად გამოიყენა ტაიმანოვთან მოპოვებული უპირატესობა და გაიმარჯვა. ტაიმანოვმა „შური იძია“ მ. ფილიპთან (ჩეხოსლოვაკია) შეხვედრაში.

ორი პარტია მოიგო ახალგაზრდა ჰიუბნერმა, რომელმაც სძლია მონლოლ ტ. უიტუმენსა და არგენტინელ უ. რუბინეტის. გერმანელმა მოჰადრაკემ 14,5 ქულა მოაგროვა და საერთაშორისო დიდოსტატის წოდებისთვის დაწესებული ნორმატივი შეასრულა.

ფინიშზე ჭაბუკური აღტკინებით იბრძვის 49 წლის სმისლოვი. მან ზედიზედ მოუგო კუბელ ე. ხიმენესსა და რუბინეტის, რითაც ექვსეულში მიხვედრის შანსი მიიღო.

გლიგორიჩმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა დ. მინიჩთან (იუგოსლავია), ს. რეშევსკიმ (აშშ) დაამარცხა ბ. ივკოვი (იუგოსლავია), უ. ადისონმა (აშშ) — ხიმენესი, ვ. ჰორტმა (ჩეხოსლოვაკია) — რუბინეტი, უიტუმენმა — ადისონი.

სამი პარტია ჰქონდა სათამაშო პორტიშს. მ. მატულოვიჩთან იგი ყაიმს დასჯერდა, მერე ლარსენთან დაიწყო თამაში, მაგრამ ბრძოლა ვერ დაამთავრა. მეორე დღეს მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. ს. ნარანიასთან (ფილიპინები) პორტიშს აღარ უთამაშია.

ბოლოსწინა, XXII ტურში ფიშერმა, რომელსაც ექვსეულში მოხვედრა განაღდებული აქვს, არ დაინდო გლიგორიჩი. მძაფრ ბრძოლაში ამერიკელმა კიდევ ერთი, რიგით მეოთხმეტე პარტია მოიგო.

სხვა ლიდერები — გულერი, ლარსენი და ტაიმანოვი ყაიმს დასჯერდნენ შესაბამისად ივკოვთან, უიტუმენთან და რეშევსკისთან შეხვედრებში ულმანმა მოუგო მატულოვიჩს. ყაიმით აღინიშნა სმისლოვ — ჰორტის შეხვედრა.

პოლუგაევსკიმ მოუგო მინიჩს, რუბინეტიმ — ნარანიას.

გადაიდო მეკინგ — ჰიუბნერის, პორტიშ — ხიმენესის, პანო — ტ. სათლზისა (კანადა) და ადისონ — ფილიპის პარტიები.

ყაიმების რეკორდები

რიგა, 10 დეკემბერი. აქ, ოფიცერთა სახლის თეთრ დარბაზში, გრძელდება სსრ კავშირის მოჰადრაკე ვაჟთა 38-ე ჩემპიონატის ფინალი. გუშინ შედგა X ტური.

ერთპიროვნულმა ლიდერმა — ოდესელმა ოსტატმა ვ. ტუკმაკოვმა ცხარე ბრძოლის შემდეგ გადადო პარტია რ. ხოლმოვთან (მოსკოვი). მისმა მთავარმა მეტოქემ ვ. კორჩნოიმ (ლენინგრადი) ყაიმით დაასრულა შეხვედრა ი. ავერბახთან (მოსკოვი).

პირველი მარცხი იწვნია ა. გიპსლისმა (რიგა). მას მოუგო ლენინგრადელმა ოსტატმა ვ. კარასიოვმა, რომელიც ტურნირში უფერულად თამაშობს. მეხუთე პარტია წააგო ო. მოისეევმა (მოსკოვი). ამჯერად იგი თანაქალაქელ ი. ზაიცევთან დამარცხდა.

ყაიმით დამთავრდა „ყაიმების რეკორდსმენების“ — ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონის ა. კარპოვისა (ლენინგრადი) და ახალგაზრდა ოდესელი ოსტატის მ. პოდგაეცის შეხვედრა. კარპოვისთვის ეს მერვე ყაიმია, პოდგაეცისთვის — მეშვიდე. საინტერესოა, რომ კარპოვს ჯერ ტურნირში პარტია არ მოუგია. ყაიმზე შეთანხმდნენ, აგრეთვე, ვ. ლიბერზონი (მოსკოვი) და ი. პლატონოვი (კიევი).

ექვსი პარტია გადაიდო.

XI ტურში ტუკმაკოვმა ვერ დაამთავრა შეხვედრა ვ. სავონთან. პარტია გადაიდო. კორჩნოიმ მძლავრად ითამაშა და სძლია პლატონოვს.

გროზნელი ოსტატი ვ. დოროშკევიჩი შეჯიბრების ერთადერთი მონაწილეა, რომელსაც არც ერთი შეხვედრა ყაიმით არ დაუმთავრებია. იგი ამ დღესაც თავგამოდებით იბრძოდა. კარასიოვმა ვერ გაუძლო მის შეტევას და ფარ-ხმალი დაყარა. ეს იყო დოროშკევიჩის მეხუთე გამარჯვება (ამდენი მოგება მხოლოდ ტუკმაკოვს აქვს, კორჩნოის — ერთით მეტი).

პირველი გამარჯვების სიხარული განიცადა ჭაბუკმა ერევნელმა ოსტატმა რ. ვაგანიანმა, რომელმაც მოისეევს მოუგო. იმავე დღეს მას ვ. ანტოშინი (მოსკოვის ოლქი) დანებდა X ტურიდან უმეტესი პოზიციაში გადადებულ პარტიაში.

მოსკოვის ჩემპიონმა ი. ბალაშოვმა სძლია ზაიცევს.

ყაიმით დამთავრდა გიპსლის — მ. ცვეტლინის (ლენინგრადი), ლიბერზონ — ო. დემენტიევის (ლენინგრადი) და ანტოშინ — ვ. მიკენასის (ვილნიუსი) შეხვედრები. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

11 ტურის შემდეგ დაწინაურდა კორჩნოი — 7,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. ტუკმაკოვს 7 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, პოდგაეცს — 6,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

ბელგიში, 12 ტურის შემდეგ

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი ა. კუშნირი (მოსკოვი) განაგრძობს ლიდერობას სსრ კავშირის მოჰადრაკე ქალთა 30-ე ჩემპიონატის ფინალში, რომელიც ბელგიში (მოლდავეთი) მიმდინარეობს. 12 ტურის შემდეგ მას 9,5 ქულა აქვს.

ლიდერს კვალში მიჰყვებიან მოსკოვის ჩემპიონი ნ. კონოპლიოვა და ესტონელი მ. რანიკუ — 8,5-8,5 ქულა. ლ. სატნინასა (სვერდლოვსკი) და ლ. სემიონოვას (კიევი) 7,5-7,5 ქულა აქვთ. 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს ს. როოტარემ, ჰ. სამუელმა (ორივე — ტალინი), თ. ზაიცევამ და ტ. ლემაჩკომ (ორივე — მოსკოვი).



ა. ანდრეიკო

ჩემპიონი ფინიშზე „დაიგალ“

ტალინი, 9 დეკემბერი. ბუკარიან შაშში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მხოლოდ შეჯიბრების ბოლო ტურმა „შვა“. ფინიშთან ქულათა თანაბარი რაოდენობით მივიდნენ რიგელი ა. ანდრეიკო და ოდესელი მ. კორხოვი. ანდრეიკომ დღეს თანაქალაქელი ე. მერინი დაამარცხა და 11,5 ქულით I ადგილი დაიკავა. ამრიგად, მან მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაც დაუმატა. კორხოვმა კი ს. დავიდოვთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა და გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა.

დასკვნითი ტურის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: მ. შაველმა მოუგო ი. ოგოროდნიკოვს, ა. რაცმა — ე. კორხოვს, ვ. გოლოსუევმა — ი. შაუსს. ყაიმით დასრულდა პარტიები: ს. გერშტი — ნ. მეშჩანსკი, ვ. შჩოგოლევი — ა. მოგილიანსკი, ვ. კაპლანი — ლ. ციპესი, ი. კუპერმანი — ა. განტვარგი. ამ უკანასკნელთ 10,5-10,5 ქულა დაუგროვდათ, მაგრამ კოეფიციენტის ცხრილის მიხედვით II-I ადგილი მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, კიეველ კუპერმანს მიეკუთვნა.

ამრიგად, სატურნირო ცხრილში საბოლოო ადგილები ასე განაწილდა: I. ანდრეიკო — 11,5 ქულა, II. მ. კორხოვი — 11, III. კუპერმანი — 10,5, IV. განტვარგი — 10,5, V. რაცი — 10, VI. შჩოგოლევი—9,5, VII. მეშჩანსკი — 9, VIII. დავიდოვი — 9, IX. ოგოროდნიკოვი — 9, X. შაველი — 9, XI. ციპესი — 8, XII. მერინი — 8, XIII. კაპლანი — 7,5, XIV. მოგილიანსკი — 7,5, XV. შაუსი — 7, XVI. გოლოსუევი — 6,5, XVII. გერშტი — 6, XVIII. ე. კორხოვი — 3,5.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

• KORANA • ФУТБОЛ • ФЕХБУРТИ • LABDARUGAS •

მოკლედ

● **სანტოსი.** საავტომობილო კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდა ბრაზილიის ნაკრების წევრი ეოელი. მას კარგა ხანს მოუწევს საავადმყოფოში წოლა.

● **რეიკიავიკი.** ისლანდიის თასი მოიპოვა რეიკიავიკის „ფრომმა“.

● **ტოკიო.** იაპონიის ნაკრებმა მიიღო შვეიცის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი „იურგორდენი“ და სასტიკი მარცხი იგემა — 1:6. მატჩრევანში კვლავ სტუმრებმა მოიგეს — 3:0.

● **ციურიხი.** ფიფა-ს სამდივნომ მალტის ფეხბურთის ფედერაციისგან მიიღო ოფიციალური ცნობა, რომ ამ ქვეყნის ნაკრები არ ითამაშებს მორიგი ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირში. ამრიგად, მალტელების მეტოქე — ფინეთის ნაკრები, უბრძოლველად გადის შემდეგ წრეში.

● **პანამა.** აქ გამოცხადდა, რომ პანამის ნაკრების ხელმძღვანელად დანიშნულია მსოფლიოს „ბიკამპეონი“ (ორგზის ჩემპიონი), ბრაზილიელი ჯ. სანტოსი.

● **ბონი.** გამოჩენილ ფეხბურთელს, გფრ-ის ნაკრების კაპიტანს 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატში ფ. ვალტერს 50 წელი შეუსრულდა. სპორტულმა საზოგადოებრიობამ ეს თარიღი აღნიშნა.

მწვრთნელთა შემოქმედებითი მივლინება

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის დადგენილებით ამ ქვეყნის წამყვანი სპეციალისტები მივლინებული იქნებიან უცხოეთში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბ. სპასოვი 2 თვით მიემგზავრება ინგლისში, სადაც დაესწრება ინგლისის ნაკრების საწვრთნელ ვარჯიშს. ეროვნული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, დოქტორი ს. ბოქკოვი 10 თვეს დაჰყოფს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, გ. ბერკოვი 2 თვით ჩავა იტალიაში, ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე ნ. ალაჯოვი კი ერთ თვეს იქნება საბჭოთა კავშირში.

ასეც ხდება!



შვედი მაყურებლებისთვის მოულოდნელი სანახაობა იყო ამერიკული ჭიდაობა, როცა კანადელმა ა. დრეპმა მეტოქის ნაცვლად მსაჯი მოიგდო ქვეშ.



◆ **ბუდაპეშტი,** 11 დეკემბერი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის სამგზის მფლობელმა — ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა ახალ წარმატებას მიაღწია — ამ საპატიო პრიზის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა. საბჭოთა კალათბურთელებმა მეორე შეხვედრაშიც დაამარცხეს უნგრეთის ჩემპიონი „ჰონვედი“ — 93:67 (54:27). როგორც ცნობილია, ამ ერთი კვირის წინათ მოსკოველმა არმიელებმა შინ „ჰონვედს“ სძლიეს ანგარიშით 102:75. 14 დეკემბერს მიუნჰენში გაიმართება კენჭისყრა, რომელიც მეოთხედფინალური შეხვედრების მონაწილეებს ორ ქვეჯგუფად დაყოფს.

◆ **ადის-აბება,** 11 დეკემბერი. ვოროშილოვგრადის „ზარიას“ ფეხბურთელთა გუნდმა აქ ამხანაგური მატჩი მოუგო ეთიოპიის დედაქალაქის ნაკრებს — 1:0.

რეკორდები

ბანგკოკი, 11 დეკემბერი. აზიის ქვეყნების აქ მიმდინარე თამაშებში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ირანელმა ძალოსანმა მ. ნასირიმ (მჩატე წონა). მან 125,5 კგ აჭიმა, რაც ნახევარი კილოგრამით სჯობს უნგრელი ი. ფიოლდის შარშანდელ მიღწევას.

თბილისის სპორტულ ბუნებაზე

კალათბურთი. სპორტის სასახლე. სსრ კავშირის XXXVIII ჩემპიონატი. 12 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — რტი (მინსკი). 16 დეკემბერი. „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). 18 დეკემბერი. „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი). დასაწყისი: სათადარიგო შემადგენლობებისა — 18 ს., ძირითადი შემადგენლობებისა — 20 ს.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: თბილისი, 8, ლენინის ქ. № 14, **ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ** — თბილისი, „ლელო“. **ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ:** რედაქტორი — 99 56-14, რედაქტორის მოადგილე—93 97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები—93 97-55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97-53, ფეხბურთის განყოფილება — 93 97 56, ჭადრაკის განყოფილება — 93 97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93-97 58, გამომშვები — 93 93 81, კორექტორები — 93-97-49.

ᲘᲜᲓᲔᲥᲡ 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 7 უე 10635